სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

150 დავით აღმაშენებლის გამზირი
თბილისი,საქართველო
+995 32 295 00 30

**12 / ივნისი / 2023 წ.**

KA020116352513723

№ **22/4773**

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ მცხეთის მუნიციპალიტეტში, მისაქციელის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყალი, ფართობი 0,07 ჰა, მოპოვება - 315 000 $მ^3$/წელიწადში, 25 წლის ვადით) მოპოვების სკრინინგის განცხადებას (ID 56246/94813, 02.05.2023წ.).

ლიცენზია გაიცემა მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებაზე, ჩამოსხმის მიზნით და სხვა სამეწარმეო დანიშნულებით, მცხეთის მუნიციპალიტეტში, მისაქციელის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ნატახტრის მიმდებარე ტერიტორიაზე.

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილი) მდებარეობს ზღვის დონიდან 494 მეტრის სიმაღლეზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას.

ობიექტი არ მდებარეობს სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები, ასევე არ ფიქსირდება მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან და სხვა ობიექტებთან.

წიაღით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

ამ მიზნით გაცემული ლიცენზია არ გამოიწვევს წყლის, ნიადაგის, მიწის დაბინძურებას, ნარჩენების წარმოქმნას, გარემოს დაბინძურებასა და ხმაურს. ასევე არ არის მოსალოდნელი გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: გეოსაინფორმაციო პაკეტი - 4 გვ., ტოპორუკა - 1გვ., shape ფაილი.

ხელმოწერილია/

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

დამტკიცებულია ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე